პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 მაისი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 97 (9188) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჯანმრთელობის პროგრამა

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანებს. კომუნისტთა ამ დიდი ფორუმების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების მიზნით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, დამტკიცდა თბილისის მოსახლეობის გაჯანსაღების 1986-1990 წლების პროგრამა (ჯანმრთელობის პროგრამა).

ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციები, შეიქმნება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის საქალაქო ფედერაცია, საკოორდინაციო საქალაქო საბჭო, რაიონების მიხედვით მოეწყობა ფიზკულტურულ-სპორტული ცენტრები, რომლებიც წარმართავენ ცალკეულ ორგანიზაციათა და უწყებათა მუშაობას. პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას: გათვალისწინებულია თბილისის სპორტული ბაზების, მოედნებისა და საცურაო აუზების კეთილმოწყობა-რეკონსტრუქცია, ახალი მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და კომპლექსების მშენებლობა, სპორტული ინვენტარის გაქირავების საქალაქო ქსელის შექმნა, კულტურისა და დასვენების პარკებში ღია სპორტული მოედნების, ჯანმრთელობის ბილიკების მოწყობა, ნახევრადსარდაფული და სხვა გამოთავისუფლებული ნაგებობების გამოყენება ბავშვთა სპორტული კლუბებისა და ჯანმრთელობის ჯგუფებისათვის. ცხადია, პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიებების ორგანიზაციას, ყოველი თვის პირველი შაბათ-კვირა გამოცხადებულია „ჯანმრთელობის ორდღიურად“, მუშავდება მასობრივ შეჯიბრებათა ერთიანი კალენდარი, რომლის შესაბამისად სისტემატურად ჩატარდება შეჯიბრებები მოსახლეობის ფართო ფენების, ეზოების, კორპუსების, ქუჩების, მიკრორაიონების გუნდების მონაწილეობით.

ლიდერობს ქეთევან მელაშვილი

სამტრედია, 20 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატის VIII ტურში ლიდერების ქეთევან და ნინო მელაშვილების შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მესხმა სძლია ხუგაშვილს, ლაგვილავამ — ფანიაშვილს, თანდაშვილმა — წერეთელს და ჩხაიძემ — ნიკოლაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ კახიანი და ფეჰლევანოვა, კახაბრიშვილი და მახარაძე, ქასოშვილი და ტერელაძე. ალიხანაშვილი — კურცხალიას პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ქეთევან მელაშვილი — 7 ქულა, ნინო მელაშვილი — 6, სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 5,5, ციცინო კახაბრიშვილი — 5, ციალა ქასოშვილი (გორი) — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი) — 4,5.

კასპაროვის წინადადებით

ქალაქ ბაზელში (შვეიცარია) მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვისა და ინგლისელი დიდოსტატის ენტონი მაილსის ამხანაგურ მატჩში კიდევ ერთი, IV პარტია გაიმართა.

თეთრი ფიგურებით მაილსმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშა. 23-ე სვლაზე, დაახლოებით თანაბარ პოზიციაში, მსოფლიო ჩემპიონმა ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. ინგლისელმა მოჭადრაკემ მისი წინადადება მიიღო.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 3,5:0,5 (+3—0=1) გარი კასპაროვის სასარგებლოდ.

გუშინ თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყალოსნო კომპლექსში დაიწყო საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სინქრონულ ცურვაში. ასპარეზობაში მონაწილეობენ თბილისელი, სოხუმელი და ქუთაისელი სპორტსმენები. გუშინ ისინი „სკოლაში“ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, დღეს კი გაიმართება „სოლისტთა“ ასპარეზობა.

ჯერ სოფიაში, მერე ბორჯომში

ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა დიდოსტატები მაია ჩიბურდანიძე და ელენა ახმილოვსკაია, ფიდე-ს გადაწყვეტილებით ორ ქვეყანაში გაიმართება. ფიდე-ს პრეზიდენტმა ამ მატჩის გამართვა ერთდროულად ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ფედერაციებს დაავალა.

მატჩი 1 სექტემბერს სოფიაში დაიწყება და მერვე პარტიის შემდეგ ბორჯომში გაგრძელდება.

ორ ქვეყანაში მატჩის გამართვის საკითხი ქ. კარაკასში (ვენესუელა), ფიდე-ს ალმასკომის ყოველწლიურ სხდომაზე გადაწყდა. აქვე მიიღეს რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მომავალში მსოფლიო პირველობის მატჩების გამართვა სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებმა ითავონ.

ჩვენი კომენტარი

რა სწრაფად გარბის დრო!..

ამ ათიოდე წლის წინათ ფიდე-ს პრეზიდენტი, მსოფლიოს ექსჩემპიონი მაქს ეივე ამბობდა, მოჭადრაკე ქალი რომ ვაჟს დაეწიოს, 200 წელი მაინც არის საჭიროო. მაგრამ მოჭადრაკე ქალებმა, პირველ ყოვლისა, ნონა გაფრინდაშვილმა და მაია ჩიბურდანიძემ, დააჩქარეს დროის სვლა. ვაჟთა ტურნირებში თვალსაჩინო მიღწევებისთვის ფიდე-მ მათ ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა: 1978 წელს ნონა გაფრინდაშვილს, 1984 წელს — მაია ჩიბურდანიძეს. ეს იყო მოჭადრაკე ქალთა, უფრო სწორად, მათი აღიარებული ლიდერების დიდი გამარჯვება. ეს იყო ის ბუნებრივი შედეგი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პირველმა მსოფლიო ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ვერა მენჩიკმა. მან პირველმა დაარწმუნა მსოფლიო, რომ მოჭადრაკე ქალს შესწევს უნარი გაუმკლავდეს დიდოსტატ ვაჟებს. მის მიერ გაკვალულ გზას ჯერ ნონა გაფრინდაშვილი გაჰყვა, მერე მაია ჩიბურდანიძე, ახლა ამ გზას მიჰყვებიან ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ირინა ლევიტინა და სხვები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციას ეკუთვნის პრიორიტეტი ვაჟთა დიდ ტურნირებში მოჭადრაკე ქალების სისტემატური მონაწილეობის მხრივ.

ჭადრაკის სამყარო, ფართო საზოგადოებრიობა შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მაია ჩიბურდანიძისა და ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატის პეტარ პოპოვიჩის ამხანაგურ მატჩს, რომელიც ახლახან იუგოსლავიაში გაიმართა. ამ დონეზე დიდოსტატი ქალისა და ვაჟის ორთაბრძოლა ადრე არასოდეს გამართულა, ეს იყო პირველი მსგავსი მატჩი ჭადრაკის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. როგორც იცით, მაია ჩიბურდანიძემ შეჯიბრება სასახელოდ დაამთავრა (4:4; +1—1=6).

რა თქმა უნდა, მოჭადრაკე ქალისა და ვაჟის მატჩები ადრეც შემდგარა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არა დიდოსტატთა შორის.

XIX საუკუნეში დიდ ყურადღებას იქცევდა ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკე ქალის ამალია პაულსენის მატჩები ოსტატ ვაჟებთან, XX საუკუნის პირველ ნახევარში — ცნობილი ოსტატების, ფრანგი შოდე დე სილანის, გერმანელი ედიტ კელერ-გერმანის შეხვედრები ძლიერ მოჭადრაკე ვაჟებთან. მაგრამ მათი მეტოქეები არ იყვნენ დიდოსტატები (ეს ტიტული ფიდე-მ შემოიღო 1950 წელს). ერთი მატჩი პირველმა მსოფლიო ჩემპიონმა ვერა მენჩიკმაც ითამაშა 1942 წელს ლონდონში გერმანელ ოსტატ ჟაკ მიზესთან. მაშინ მიზესი 77 წლისა იყო და მენჩიკმა ადვილად დაამარცხა იგი (+4—1=5).

დღეს უფრო ხშირად გაიგონებთ მოჭადრაკე ქალისა და ვაჟის მატჩის შესახებ. მაგალითად, ამას წინათ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა პია კრამლინგსა და ნორვეგიელ დიდოსტატ სიმონ აგდესტეინს შორის, რომელიც ყაიმით (2:2; +1—1=2) დამთავრდა.

როცა ყველაფერ ამას გონების თვალს გადაავლებ, უნებლიედ გახსენდება გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატის მილუნკა ლაზარევიჩის სიტყვები, რომ საუკუნის ბოლოსთვის მოჭადრაკე ქალები ვაჟებთან ერთად გაითამაშებენ მსოფლიო პირველობას. ჯერ თითქოს დაუჯერებელია ეს, მაგრამ... გაიხსენეთ მაია ჩიბურდანიძის მიერ ნახევრად ხუმრობით ნათქვამი სიტყვები: (ხუმრობა ხომ ზოგჯერ სიმართლესთან ძალიან ახლოსაა!) „ჩემი ოცნებაა გავხდე მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორისაც“!

ქალთა ჭადრაკი ზღაპრული სისწრაფით ვითარდება. დღეს უკვე აღარავის უკვირს მოჭადრაკე ქალთა მონაწილეობა ვაჟთა ტურნირებში. ამ მხრივ მისაბაძ მაგალითს იძლევიან ქართველი დიდოსტატი ქალები. სწორედ ეს არის ქალთა ჭადრაკის მაგისტრალური გზა.

თენგიზ გიორგაძე.

ელვა-ინფორმაცია

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მიღწეული მაღალი შედეგებისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა კიევის „დინამოს“ ცამეტ ფეხბურთელს.

20 მაისს, სსრ კავშირის ნაკრების მექსიკაში გამგზავრებამდე, ნოვოგორსკის საწვრთნელ ბაზაზე სპორტსახკომის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა მოწმობები და სამკერდე ნიშნები გადასცა კიეველებს.

ეს მაღალი სპორტული წოდება მიიღეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1986 წლის გათამაშების მონაწილეებმა: ა. ბალმა, ს. ბალტაჩამ, ი. ბელანოვმა, ვ. ბესონოვმა, ა. დემიანენკომ, ვ. ევტუშენკომ, ა. ზავაროვმა, პ. იაკოვენკომ, ი. იარემჩუკმა, ო. კუზნეცოვმა, მ. მიხაილოვმა, ვ. რაცმა, ვ. ჩანოვმა.

გოგონათა მსოფლიო პირველობა

სიტუაცია დაიძაბა

ვილნიუსში გრძელდება მსოფლიო პირველობა 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა შორის. შეჯიბრება, რომელშიც 20 გოგონა მონაწილეობს, შვეიცარიული სისტემით (13 ტურად) ტარდება.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან სვეტლანა პრუდნიკოვა (სსრ კავშირი), ილდიკო მადლი (უნგრეთი) — 4-4 ქულა, მსოფლიო ჩემპიონი ქეთევან არახამია, აინურ სოფიევა — 3,5-3,5 და კამილე ბაგინსკაიტე (ყველა — სსრ კავშირი) — 3.

თბილისელმა ოსტატმა არახამიამ პირველ დღეს მოუგო დანიელ მაია ტეანდერს, მაგრამ პოლონელ იონა სტრყალკასთან დამარცხდა და მას სხვებმა გაასწრეს. მომდევნო ორ შეხვედრაში არახამიამ ქულა-ნახევარი მოაგროვა, V ტურში უნგრელ ილდიკო სალაის სძლია და ლიდერებს კვალში ჩაუდგა.

ევროპის ჩემპიონმა ილდიკო მადლმა ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა, მაგრამ V ტურში მას პრუდნიკოვამ მოუგო.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტური დარჩა.

ეროვნული

ორიენტირი — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ნაკრებში მხოლოდ თბილისელები არიან

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ბატუტზე მხტომელები, მათ შორის საქართველოს ნაკრების წევრები, წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას.

ჩვენს ბატუტისტებს „შრომითი რეზერვების“ სპორტულ კომპლექსში ვეწვიეთ. „საჰაერო აკრობატებს“ (მათ ასეც უწოდებენ) უკვე დაეწყოთ ვარჯიში. მწვრთნელებს სათვალთვალოდ სხვადასხვა წერტილი აერჩიათ და დროდადრო შეგირდებს რჩევა-დარიგებას აძლევდნენ... ჩვენ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს თენგიზ ხუდოევს გავესაუბრეთ.

⊙ **ბატონო თენგიზ, სანამ სპარტაკიადო „ტალღაზე გადავერთობოდეთ“, მოდით, ჩვენს მკითხველებს უფრო ახლოს გავაცნოთ სპორტის ამ დიდი ფორუმის დებიუტანტი.**

— ბატუტზე ხტომა სპორტის ახალგაზრდა სახეობაა. მიუხედავად ამისა, მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. აღსანიშნავია, რომ თავიდან ბატუტი იყო ტრენაჟორი, რომელზეც ვარჯიშობდნენ მფრინავები, პარაშუტისტები, კოსმონავტები, წყალში მხტომელები, ტანმოვარჯიშეები, აკრობატები, მშენებელ-მემონტაჟეები, მყვინთავები... იგი მათ უვითარებდა მოქნილობას და კოორდინაციას. ბატუტზე ხტომის სპორტის დამოუკიდებელ სახეობად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ბატუტზე მოხტუნავე აკრობატების ცირკის არენაზე გამოსვლამ. და აი, 1949 წელს აშშ-ში ნაციონალური პირველობა ჩატარდა ბატუტზე ხტომაში. სწორედ ეს წელი უნდა ჩაითვალოს მისი დაბადების თარიღად. 1964 წელს შეიქმნა ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაცია, ამავე წელს გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატიც.

ჩვენს ქვეყანაში ბატუტი 30-იანი წლებიდანაა ცნობილი. მასზე ვარჯიშობდნენ მფრინავები და პარაშუტისტები. ომის შემდეგ ბატუტი ერთხანს მიივიწყეს, 1956 წლიდან კი იგი წყალში მხტომელთა მომზადების პროგრამაში შეიტანეს. ბატუტზე ხტომაში საკავშირო პირველობა მხოლოდ 1965 წელს ჩატარდა. პირველ ხანებში ამ სახეობაში მხოლოდ წყალში მხტომელები და აკრობატები ასპარეზობდნენ, 70-იანი წლების დასაწყისიდან შეჯიბრებაში უკვე „სუფთა“ ბატუტისტები ჩაებნენ, ე. ი. ისინი, ვინც მხოლოდ ამ იარაღზე ვარჯიშობდა, და მაინც, ბატუტზე ხტომა კარგა ხანს აკრობატიკის პროგრამაში შედიოდა, მაშინაც, როცა საქართველოში პირველი ჩემპიონატი (1969) ჩატარდა. 1971 წელს შეიქმნა ბატუტზე ხტომის საკავშირო ფედერაცია. ამ წელს პირველ წარმატებას მიაღწიეს ბატუტზე ხტომის ჩვენმა ოსტატებმა — საკავშირო „შრომითი რეზერვების“ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს სერგო მარქარიანმა და ზურაბ ოშხერელმა (სინქრონულ წყვილებში) და სამველ ანდრიასიანმა (ინდივიდუალურ გამოსვლებში). 1978 წელს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მარქარიანმა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ იუნიორებს შორის ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა ფატიმა ფირანიშვილმა. უფრო ადრე, 1977 წელს ფატიმამ, ლია აბრამიშვილთან ერთად, ამავე ასაკში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გაიმარჯვა.

1984-ში საბჭოთა კავშირის პირველობის მეორე პრიზიორები გახდნენ ირმა თანდილაშვილი და ინგა მენთეშაშვილი. საკავშირო გუნდურ პირველობაზე ყველაზე დიდ წარმატებას ჩვენმა ბატუტისტებმა 1976 წელს მიაღწიეს — მესამე ადგილი დავიკავეთ, მაგრამ საერთო ჩათვლაში ხუთეულს მაინც არ გავცილებივართ.

აი, ჩვენი სპორტსმენების წარმატებათა არასრული სია.

⊙ **საკუთარი სპეციალიზებული დარბაზი რომ გქონდეთ, ალბათ კიდევ უფრო დიდ წარმატებებზეც შეიძლებოდა ფიქრი?**

— ის, რომ თბილისში და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში საკუთარი სპეციალიზებული დარბაზი არა გვაქვს, მართლაც ძალიან გვიშლის ხელს. თუმცა, თბილისში მომუშავე მწვრთნელები ბედს მაინც არ ვემდურით, დიდად ვემადლიერებით „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელებს, რომლებიც ძალიან გვიწყობენ ხელს. 1980 წლამდე, შეიძლება ითქვას, მომთაბარე ცხოვრებას ვეწეოდით. გამიჭირდება კიდეც იმ დარბაზების ჩამოთვლა, სადაც გვივარჯიშია, ახლა მხარში გვიდგას ტანვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტორი მედეა ჯუღელი (ბატუტზე ხტომა ამ სკოლაშია დანერგილი — ჯ. კ.). აქვე მინდა ვთქვა, რომ მეტი დახმარება სჭირდებათ ქუთაისელ, ბათუმელ და სოხუმელ სპორტსმენებს. არ გვყოფნის კვალიფიციური მწვრთნელები. მიღებულია დადგენილება, რომლის მიხედვითაც ფიზკულტურის ინსტიტუტში წლეულს ბატუტზე ხტომის სპეციალობაზე ოთხი ახალგაზრდა ჩაირიცხება. ეს დადგენილება უფრო ადრე რომ გამოეტანათ, პერიფერიებში ჩამორჩენას უსათუოდ დავძლევდით.

თენგიზ ხუდოევი ნაკრები გუნდის წევრებთან.

⊙ **სპარტაკიადაზე რომელი ქალაქის წარმომადგენლებს მოუწევთ რესპუბლიკის ღირსების დაცვა?**

— ამ შეკითხვას შემიძლია მოკლედაც ვუპასუხო და ვრცლადაც. გეტყვით, თბილისელებს-მეთქი და პასუხიც ეს იქნება, მაგრამ... უფლება არა მაქვს ვრცლად არ შევჩერდე ამაზე. იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობაში მოვარჯიშეთა რიცხვმა იმატა, საქართველოში პირიქით, იკლო. თუ ახლო წარსულში ჩვენთან 600 მოზარდი ვარჯიშობდა, დღეს 180-190 სპორტსმენი მეცადინეობს. იყო დრო, როცა საქართველოს პირველობაზე თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის ბატუტისტების გვერდით რუსთაველები, ცხინვალელები და სამტრედიელებიც გამოდიოდნენ. იმ 37 სპორტის ოსტატიდან, საქართველოში რომ გაიზარდნენ, ხუთი სპორტსმენი მეტალურგთა ქალაქიდან იყო. გარდა ამისა, ბატუტისტები იზრდებოდნენ სპორტსაზოგადოებებში „ბურევესტნიკში“, „სპარტაკში“ და „განთიადში“. დღესდღეობით კი ამ სახეობას, როგორც იცით, მხოლოდ „შრომითი რეზერვები“ მეურვეობს.

⊙ **რა მიგაჩნიათ ჩვენი ბატუტისტების ძლიერ მხარედ?**

— ჩვენს სპორტსმენებს, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, თავიანთი სტილი აქვთ. მსოფლიო არენაზე ჩვენი, თბილისური დამღით გავიდა სალტოების ნაადრევი გახსნა და გამართული ხელებით შესრულებული პირუეტები. საერთოდ, ბატუტზე ხტომის ქართული სკოლა ლამაზად შესრულებული ილეთებით გამოირჩევა.

⊙ **თქვენს გარდა კიდევ ვინ მუშაობს ნაკრებთან?**

— სპორტის ოსტატები ზაურ სულაშვილი და ევრაპიდ გალჩევი. ზაური ოთხი წლის წინ მოვიდა ჩვენთან, ალღო საწვრთნელ პროცესს ადვილად აუღო, შრომისმოყვარეობითაც გამოირჩევა. მისმა რამდენიმე აღსაზრდელმა უკვე საკავშირო არენაზე გამოიჩინა თავი. რაც შეეხება ევრაპიდს, იგი შედარებით ახალბედაა, მაგრამ როგორც სპორტსმენს, დიდი გამოცდილება აქვს — საკავშირო თასის პრიზიორი იყო, რაც საწვრთნელ მუშაობაში ძალიან ეხმარება.

⊙ **რომელ ადგილს უმიზნებთ საკავშირო სპარტაკიადაზე და ვინ იქნებიან თქვენი მთავარი მეტოქეები?**

— იმისათვის, რომ კიევში ხუთეულში მოვხვდეთ, აუცილებლად უნდა ვაჯობოთ მოლდავეთისა და ყაზახეთის ბატუტისტებს. საპრიზო ადგილებისთვის უკრაინის, რსფსრ-ის და ბელორუსიის გუნდები იბრძოლებენ. ჩემი აზრით, მედლებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდება. მეოთხე ადგილის მოპოვების შანსი აქვთ ლენინგრადელებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოდასახელებულ რესპუბლიკებს, ყაზახეთის გარდა, ბატუტზე ხტომის სპეციალიზებული სკოლები აქვთ. თუმცა შეიძლება ადგილები სხვაგვარადაც განაწილდეს. საქმე ის არის, რომ დებულებით, სპარტაკიადაზე დაიშვებიან 1963-70 წლებში დაბადებული ბატუტისტები. ახლახან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო სახელმწიფო კომიტეტს გავუგზავნეთ თხოვნა იმის შესახებ, რომ ნება დაგვრთონ, უმცროსი ასაკის ბატუტისტები გამოვიყვანოთ. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის ლიდერს რუსუდან ხოფერიას ჯერ 15 წელი არ შესრულებია. არც საქართველოს ნაკრების პირველი ნომერი მიხეილ პელივანოვი და უძლიერესი ბატუტისტები ნინო შერმადინი და ინა წოკლაური არიან სასპარტაკიადო ასაკისანი. თუ ჩვენს თხოვნას ანგარიშს გაუწევენ, მეოთხე ადგილისათვის ვიბრძოლებთ.

ჯემალ კასრაძე.

გვიმრავლოს!

ზუგდიდში დასასრულს უახლოვდება ახალი იპოდრომის მშენებლობა. ძირითადი ხარბიელი მზადაა სტუმრების მისაღებად. დღეს აქ იწყება საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობაში.

მობურთალსა მოედანი

ცხენოსნობის მოყვარულთ ემახსოვრებათ ზუგდიდელი ანზორ შონია — მრავალი შეჯიბრების გამარჯვებული და პრიზიორი. ზუგდიდელები არიან საქვეყნოდ ცნობილი მხედრები ალექსანდრე კრაინენკო და ოთარ ჯაფარიძე. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში სხვა ზუგდიდელებსაც მრავლად ვხედავდით, მაგრამ მერე და მერე მათ თანდათან დათმეს მოწინავე პოზიციები. მოგეხსენებათ, მობურთალსა — მოედანიო. დიახ, უიპოდრომოდ რას გახდებიან. ჰოდა, 1980 წელს ზუგდიდში სარაიონთაშორისო საცხენოსნო სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყეს, დაიწყეს, მაგრამ ორი წლის მერე, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეაჩერეს, 1983 წელს კი განაახლეს. და აი, რამდენიმე დღეში ზუგდიდელებს ექნებათ ნანატრი იპოდრომი, რომელსაც ცხაკაიას № 2 ტრესტის (მმართველი ოთარ კვირკვია) ზუგდიდის სარემონტო სამშენებლო სამმართველო (უფროსი ნური მხეიძე) აშენებს.

მოსაპირკეთებელი სამუშაობი მალე მთლიანად დამთავრდება, დაიწყო ტერიტორიის გამწვანება, ფაქტობრივად საქმე ბევრი აღარ დარჩა.

— იპოდრომის დროულად ჩაბარების მიზნით შეიქმნა შტაბი, — გვითხრა ზუგდიდის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა რევაზ ხულორდავამ. — შტაბის წევრები ყოველ ორშაბათს იკრიბებიან და ყველა საჭირბოროტო საკითხს ოპერატიულად წყვეტენ. კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს მექსკავატორე ველოდი რიგვავამ, შოფრებმა ბონდო თოლორდავამ და გიგლა ბასილაიამ, დურგლებმა ვანო და არველოდი წურწუმიებმა, მღებავებმა მამუკა ჯიშკარიანმა, დავით თოდუამ, მურთაზ ჯანჯღავამ, მომპირკეთებლებმა რომან ჯალალონიამ, იოსებ ფიფიამ, თენგიზ ჯაფარიძემ, მამული ჯალალონიამ, ბრიგადირმა რევაზ შელიამ და სხვებმა.

მასპინძლებთან ერთად ვათვალიერებთ იპოდრომს. ფართო, მოასფალტებული ქუჩის დასაწყისის ორთავ მხარეს ორი ვეებერთელა მოზაიკური პანოა აღმართული. მოზაიკური პანოები ამშვენებს იპოდრომის ტრიბუნების კედლებსაც. ტრიბუნები, რომელსაც 120 კაცისათვის განკუთვნილი ლოჟა აქვს, სამი ათას მაყურებელს დაიტევს. აქ არის ერთი დიდი (1400-მეტრიანი) და ერთი პატარა წრე (1200 მ), ამდენივე სავარჯიშო და საშეჯიბრო კონკურის მოედანი, ეროვნული თამაშების მოედნები, ღია მანეჟი. აქვეა ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნებიც, ადმინისტრაციული შენობა, სამსაჯო კოშკი და ნალების სამჭედლოც.

ზუგდიდელ ცხენოსანთა უფროსი მწვრთნელი კლიმენტი ხარებავა და ანზორ შონია სიხარულს ვერ მალავენ. რატომაც არა, ისინი, და არა მხოლოდ ისინი, ამ საცხენოსნო კომპლექსზე ხომ დიდ იმედებს ამყარებენ.

ავთანდილ გურასაშვილი.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

გმირის ხსოვნას მიეძღვნა

საბჭოთა კავშირის 14 ქალაქის 107 ჭაბუკმა (1968-1969 წლებში დაბადებულნი) მოკრივემ მოსინჯა ძალა სოხუმის ფიზკულტურის სახლის რინგზე. შეჯიბრება ტრადიციული გახლდათ — საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის მემორიალი.

შეჯიბრებაში, რომელიც ექვს დღეს გაგრძელდა, ჭაბუკებმა კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს. არც მემორიალის ორგანიზაციულ მხარეს დაედებოდა წუნი, რაც სტუმრებმაც ერთხმად აღნიშნეს. სტუმარი კი ბევრი იწვია სოხუმს. ასპარეზობაში ჩაებნენ ლენინგრადელი, ვოლგოგრადელი, როსტოველი, სარატოველი, კიროვაკანელი, ლენინაკანელი, ლიტვის ქალაქ შილუტის, როსტოვის ოლქის ქალაქ აზოვის, თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, ახალციხის, ცხაკაიისა და სოხუმის მოკრივეები. 44 მათგანი სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო, 63 კი პირველთანრიგოსანი.

დაძაბული ორთაბრძოლების შედეგად მემორიალის გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს: **46 კგ.** ალექსანდრე ლობინიჩევმა (ვოლგოგრადი), **48 კგ.** რობერტ აგულიანმა (სოხუმი), **51 კგ.** თენგიზ მესხიძემ (ქუთაისი), **54 კგ.** კარაპეტ აველიანმა (სოხუმი), **57 კგ.** ვართან კაზარიანმა (ლენინაკანი), **60 კგ.** მამუკა ნუცუბიძემ (ქუთაისი), **63,5 კგ.** ვიტალი სტეპანჩენკომ (ვოლგოგრადი), **67 კგ.** ვაგინაკ გოლოიანმა (ლენინაკანი), **71 კგ.** ვირგინიუს დომარკასმა (შილუტე), **75 კგ.** ემზარ ნინუამ, **81 კგ.** ედგარ ხაგბამ (ორივე — სოხუმი), **91 კგ.** არჩილ ბიბილურმა (თბილისი), **+91 კგ.** სერგეი ანანიკიანმა (კიროვაკანი).

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 18 მაისს ჩატარებულ შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

„ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“ 2:2 (0:0). ამ მატჩში დაწინაურდნენ სტუმრები (ბურთები გაიტანეს ბაგმუტმა და გავრილოვმა), ხლუსმა 76-ე წუთზე პირველი საპასუხო ბურთი გაიტანა, ფინკმა კი ბოლოს, 90-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში.

დუბლიორები — 3:2.

„დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 2:1 (1:0). დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს კარატაევმა და მოლოდცოვმა, ერთი ბურთი გაქვითა რუდაკოვმა.

გააფრთხილეს მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი ნოვიკოვი.

დუბლიორები — 1:3.

„ქაირათი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:0 (0:0). მინსკელთა კარში ბურთი გაიტანა მასუდოვმა.

გააფრთხილეს მინსკელები როდნიონოკი, შიროკი და კისტენი, აგრეთვე, ალმაათელი ნიკიტენკო.

დუბლიორები — 1:0.

„შახტიორი“ — „ზენიტი“ 1:1 (0:1). ანგარიში 42-ე წუთზე გახსნა ლენინგრადელთა მცველმა დავიდოვმა, შესვენების შემდეგ კი უშუალოდ კუთხური მოწოდებიდან საპასუხო ბურთი გაიტანა გრაჩოვმა.

დუბლიორები — 3:2.

„მეტალისტი“ — „ჟალგირისი“ 0:0.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო (სოხუმი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გააფრთხილეს „ჟალგირისის“ მეკარე იურკუსი.

დუბლიორები — 2:0.

⊙ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაწინაურდა ბაქოს „ნეფთჩის“ თავდამსხმელი მ. აჰმედოვი, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა. 6 გოლია სპარტაკელი ს. როდიონოვის ანგარიშზე.

⊙ **კიევის** „დინამო“, რომლის 12 ფეხბურთელი სსრ კავშირის ნაკრებშია მიწვეული, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატიდან ჩვენი ნაკრების დაბრუნებამდე საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობას არ მიიღებს.

გათამაშების ცხრილი
დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	8	6	1	1	26-8	13
„დნეპრი“	9	6	1	2	19-10	13
„დინამო“ თბ.	10	5	2	3	10-10	12
„ზენიტი“	10	4	3	3	16-14	11
„ჩერნომორეცი“	9	4	3	2	12-10	11
„შახტიორი“	9	4	3	2	10-9	11
„ტორპედო“ მ.	7	4	2	1	11-4	10
„ჟალგირისი“	10	4	2	4	15-14	10
„დინამო“ კ.	7	3	2	2	13-12	8
„არარატი“	10	3	2	5	3-7	8
„მეტალისტი“	10	2	3	5	5-8	7
„დინამო“ მ.	9	2	3	4	11-15	7
„ტორპედო“ ქ.	10	2	3	5	9-14	7
„ნეფთჩი“	9	2	2	5	6-14	6
„ქაირათი“	10	2	2	6	5-16	6
„დინამო“ მნ.	9	1	4	4	5-11	6

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის შეხვედრები. ტურის ყურადღების ცენტრში იყო მატჩი ლანჩხუთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები — ადგილობრივი „გურია“ და მოსკოვის არმიელთა გუნდი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

ნაკრების განაცხადი

ცნობილი გახდა ისიც, თუ რა ნომრებით ითამაშებენ ჩვენი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში:

რ. დასაევი — № 1, ვ. ბესონოვი — № 2, ა. ჩივაძე — №3, გ. მოროზოვი — № 4, ა. დემიანენკო — № 5, ა. ბუბნოვი — № 6, ი. იარემჩუკი — № 7, პ. იაკოვენკო — № 8, ა. ზავაროვი — № 9, ო. კუზნეცოვი — № 10, ო. ბლოხინი — № 11, ა. ბალი — № 12, გ. ლიტოვჩენკო — № 13, ს. როდიონოვი — № 14, ნ. ლარიონოვი — № 15, ვ. ჩანოვი — № 16, ვ. ევტუშენკო — № 17, ო. პროტასოვი — № 18, ი. ბელანოვი — № 19, ს. ალეინიკოვი — № 20, ვ. რაცი — № 21, ს. კრაკოვსკი — № 22.

წარმოგიდგენთ ფინალისტებს

დანია

ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 10 დღე

პიონტეკის ოცნების გუნდი

კოპენჰაგენის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქი ფელბეკი, სასტუმრო „მარინა“. 5-დან 12 მაისამდე დანიის ეროვნულმა ნაკრებმა სწორედ აქ ჩაატარა თავისი უკანასკნელი საწვრთნელი შეკრება. 13 მაისს დანიელები ოსლოში შეხვდნენ ნორვეგიელებს და დამარცხდნენ (0:1), 16 მაისს კი კოპენჰაგენში უმასპინძლეს პოლონეთის ეროვნულ გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0. მეორე დღეს, 17 მაისს, დანიის ნაკრები კოლუმბიაში გაემგზავრა, სადაც ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ქალაქ ბოგოტაში 11 დღეს დაჰყოფს, მერე კი მექსიკისკენ აიღებს გეზს.

...XIII მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დანიელები საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად გამოდიოდნენ და ამიტომ თავს არ შევაწყენთ ამ შეჯიბრების მსვლელობაზე საუბრით. გულშემატკივრებს ისედაც კარგად ახსოვთ, რომ დანიის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა VI შესარჩევ ჯგუფში და ერთი ქულით გაუსწრო საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელმაც ასევე მოიპოვა მექსიკის საგზური.

როგორ მოხდა, რომ დანიის ეროვნული გუნდი აუტსაიდერებიდან ასე ერთბაშად მოექცა მსოფლიო ფეხბურთის ლიდერთა რიცხვში? რა ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა ასეთი სწრაფი და საკმაოდ მოულოდნელი აღზევება? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, უპირველეს ყოვლისა, ალბათ გუნდის მწვრთნელის, დასავლეთგერმანელი ზეპ პიონტეკის როლი უნდა გავიხსენოთ. ეს 46 წლის სპეციალისტი 1979 წლიდან ხელმძღვანელობს დანიის ნაკრებს და ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ყველა ბოლოდროინდელი წარმატება მის სახელთან არის დაკავშირებული. გუნდში მოსვლისთანავე პიონტეკმა დაამყარა უმკაცრესი დისციპლინა და მოთამაშეებს ნაკრებისადმი პატივისცემა გაუღვივა. თუ უწინ უცხოეთის კლუბებში მოთამაშე დანიელი ფეხბურთელები ხშირად თავს არიდებდნენ ეროვნულ გუნდში გამოსვლას, ახლა ასეთი რამ საერთოდ აღარ ხდება, რაც მთლიანად პიონტეკის დამსახურებაა. 1979 წელს მწვრთნელმა ნაკრებს ჩამოაშორა დანიის უძლიერესი მეკარე, ბელგიის „ბრიუგეს“ კარის დარაჯი ბირგერ იენსენი, რომელმაც არ მოისურვა ერთ-ერთ საერთაშორისო მატჩში მონაწილეობა. ასეთი მკაცრი ნაბიჯის გადადგმა სულაც არ იყო იოლი საქმე, მაგრამ იგი შესანიშნავი გაკვეთილი გამოდგა უცხოეთის კლუბებში მოთამაშე სხვა დანიელი „ვარსკვლავებისთვის“. მაგრამ ამით, ცხადია, ყველა პრობლემა ვერ გადაიჭრებოდა. დანიელებს უწინაც ჰყოლიათ ძლიერი ფეხბურთელები (რასაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მათი სისტემატური მიწვევაც ადასტურებს), მაგრამ, საუკეთესო ინდივიდუალური თვისებებით დაჯილდოებულნი, ისინი ვერასოდეს ახერხებდნენ შეექმნათ მონოლითური, მძლავრი კოლექტივი, რომელიც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა ნებისმიერ მეტოქეს. პიონტეკმა ესეც მოახერხა. მან თავისი გუნდისთვის შეიმუშავა სათამაშო სტილი, რომელსაც თავად „კონტრას“ სისტემა უწოდა. ამ სისტემისთვის დამახასიათებელი განლაგებაა 3-5-2.

თუ ბურთს დანიელები ფლობენ, მათი დევიზია მაქსიმალურად სწრაფი შეტევა, ხოლო თუ იერიშზე მეტოქეა, ისინი ცდილობენ ფიქრის საშუალება არ მისცენ მას და რაც შეიძლება მალე დაიბრუნონ ბურთი. თუმცა, ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ მისაღწევად თავდაუზოგავ შრომასა და უდიდეს ოსტატობას მოითხოვს. ამიტომ თავიდან პიონტეკი უამრავ სირთულეს წააწყდა (როგორც ტექნიკური, ისე ფსიქოლოგიური ხასიათისას), მაგრამ თანდათან გამოიკვეთა სტილი, რომელზეც იგი ოცნებობდა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ინგლისის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვება, რომელმაც დანიელებს ფინალური ტურნირის საგზური მოუტანა. ეს იყო 1983 წელს. მას შემდეგ დანიაში განუზომლად გაიზარდა ფეხბურთის პოპულარობა. თეთრ და წითელზოლიან მაისურებში გამოწყობილ გულშემატკივრებს ახლა ყველა ქვეყანაში შეხვდებით, სადაც კი დანიის ნაკრები ასპარეზობს. ისინი მრავლად იყვნენ საფრანგეთშიც, 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც პიონტეკის გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა. აი, ამის კიდევ ერთი დასტური: 1984 წელს, საგანგებო გამოკითხვის შედეგად, ზეპ პიონტეკი დანიის ყველაზე პოპულარულ ადამიანად გამოაცხადეს.

დანიელთა ასეთი აღზევების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორად სპეციალისტები მიიჩნევენ ხიჰიერი, ჭეშმარიტად მაღალი კლასის ოსტატების სიმრავლეს. ისინი იხსენებენ 50-იანი წლების შვეციისა და 70-იანი წლების ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს, რომელთა დიდი წარმატებები სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა. ეროვნული გუნდის მომძლავრებას უთუოდ შეუწყო ხელი იმანაც, რომ მასზე შეფობა აიღო მსოფლიოში ლუდის წარმოების ერთ-ერთმა გიგანტმა, ფირმა „კარლსბერგმა“, რამაც, ფაქტიურად, ყველა ფინანსური პრობლემა გადაჭრა. ნაკრების წევრებს ახლა აღარ აწუხებთ ის, რომ თავიანთ კლუბებს მოშორდებიან და მატერიალურად იზარალებენ. გუნდის ძლიერ მხარედ აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ მისი შემადგენლობის სტაბილურობაც. თითქმის ოთხი წელია, დანიის ნაკრები ერთი შემადგენლობით ასპარეზობს და მასში მომხდარი უმნიშვნელო ცვლილებები, რა თქმა უნდა, ვერ დაარღვევს იმ ურთიერთგაგებას, რაც ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა.

დანიის სამეფო

სახელმწიფო ევროპის ჩრდილო-დასავლეთში, მდებარეობს იუტლანდიის ნახევარკუნძულზე და მის მახლობლად მდებარე რამდენიმე პატარა კუნძულზე. დანიას ეკუთვნის აგრეთვე ფარერის კუნძულები და გრენლანდია.
ტერიტორია—43 ათასი კვ. კმ.
მოსახლეობა — 5,1 მილიონი ადამიანი (1984).
დედაქალაქი — კოპენჰაგენი.
დანიის ფეხბურთის ფედერაცია (დანსკ ბოლდშპილ უნიონ) დაარსდა 1889 წელს.
ფიფა-ს წევრი გახდა 1904 წელს.
უეფა-ს წევრი გახდა 1954 წელს. უდიდესი სტადიონები: კოპენჰაგენის „იდრეტსპარკენი“ (48 000), ქალაქების ორჰუსის (24 000), ოლბორგისა (22 000) და ოდენსეს (20 000) სტადიონები.
ნაკრების პირველი მატჩი: 19. 10. 1908. ლონდონი. საფრანგეთი — 9:0. სულ დღეისათვის: 471 თამაში, 211 მოგება, 71 ფრე. 189 წაგება, ბურთების სხვაობა 978-802.

დანიის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
შინ	21	9	3	9	35-32
სტუმრად	21	5	1	15	29-51
სულ	42	14	4	24	64-83

პიკეს თანავარსკვლავედი

მიხაელ ლაუდრუპი

დაიბადა 1964 წლის 15 ივნისს კოპენჰაგენში.
სიმაღლე — 179 სმ, წონა — 71 კგ.

მიხაელის პირველი მწვრთნელი იყო მისი მამა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა თავისი ვაჟის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. 15 წლის მიხაელი გამოდიოდა დანიის მეორე ლიგის კლუბ „ბრონდბიუში“. 1980 წელს იგი პირველი ლიგის კლუბში, „ბკ კოპენჰაგენში“ გადავიდა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია. 1981 წელს კვლავ „ბრონდბიუში“ დაბრუნდა, რომელმაც იმ სეზონში კარგად იასპარეზა II ლიგაში და I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. დანიის ჩემპიონატებში (I ლიგა) ლაუდრუპმა სულ 38 შეხვედრა ჩაატარა და 23-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. 1983 წელს იგი იტალიაში გადავიდა. 1983-1985 წლებში გამოდიოდა რომის „ლაციოში“, 1985 წლიდან კი ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობს. დანიის ნაკრებში პირველად ითამაშა 1982 წლის 15 ივნისს ოსლოში, ნორვეგიელთა წინააღმდეგ (1:2) და გოლი გაიტანა. სულ ეროვნულ გუნდში ჩაატარა 30 შეხვედრა და გაიტანა 17 გოლი.

ბრიუსელი. ბელგიელთა ნაკრებმა მექსიკაში გამგზავრების წინ საწვრთნელი მატჩი ჩაატარა იუგოსლავიის გუნდთან და დამარცხდა — 1:3 (0:3).

უპირატესობა იუგოსლაველებს ჰქონდათ, იანკოვიჩმა და სკორომ (ორჯერ) პირველი 37 წუთის განმავლობაში სამჯერ აიღეს ბელგიელთა კარი და მხოლოდ მე-60 წუთზე შეძლო ბელგიელმა კლესენმა ერთი გოლის გაქვითვა. ბელგიელთა მწვრთნელმა გ. ტისმა მეორე ტაიმში 6 ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია, თამაშს სულ 9 ათასი მაყურებელი დაესწრო, რომლებმაც გაწბილებულებმა დატოვეს სტადიონი.

ვანკუვერი. კანადის ნაკრებმა აქ საწვრთნელი მატჩი ჩაატარა უელსის ფეხბურთელებთან და მარცხი იწვნია — 0:3 (0:1). კანადის ნაკრებში ამჯერად ყველა ის ფეხბურთელი გამოდიოდა, რომლებიც უცხოეთის კლუბებში თამაშობენ და, როგორც მიმომხილველები იუწყებიან, გუნდი ძალზე შეუთამაშებელი ჩანდა. მატჩი მიმდინარეობდა სპორტულ დარბაზში, რომელიც 60 ათას მაყურებელს იტევს.

* * *

⊙ **1930 წლიდან** დღემდე მსოფლიო პირველობა ფეხბურთში სულ 12-ჯერ გაიმართა, ჩემპიონის წოდება კი 6 ქვეყნის გუნდმა მოიპოვა. 3-3-ჯერ იყვნენ პირველ ადგილზე ბრაზილიელები (1958, 1962, 1970 წლები) და იტალიელები (1934, 1938, 1982), 2-2-ჯერ ურუგვაელები (1930, 1950) და დასავლეთგერმანელები (1954, 1974), თითოჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა ინგლისისა (1966) და არგენტინის (1978) გუნდებმა.

⊙ **განვლილ** 12 მსოფლიო ჩემპიონატში ჩემპიონის ტიტული მიენიჭა 176 ფეხბურთელს, მათგან 44 იტალიის, 36 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და 34 ბრაზილიის წარმომადგენელია.

⊙ **ერთადერთი** ფეხბურთელი, რომელიც სამჯერ გახდა ჩემპიონი, ბრაზილიელი პელეა.

⊙ **ბრაზილიის** ნაკრები ერთადერთია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატების ყველა განვლილ 12 ფინალურ ტურნირში, ბრაზილიელები ახლაც ფინალში გამოდიან. ამ გუნდმა ჩაატარა ყველაზე მეტი შეხვედრა (57), მოიგო ყველაზე მეტი მატჩი (37) და ყველაზე მეტი ბურთიც გაიტანა (134).

⊙ **ყველაზე** მეტი მაყურებელი (200 ათასი) დაესწრო IV მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს რიოდე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდებს შორის.

⊙ **12 ფინალური** მატჩიდან 6 იმ გუნდების დამარცხებით დამთავრდა, რომლებმაც გახსნეს ანგარიში.

⊙ **მასპინძელი** ქვეყნის გუნდებმა 7-ჯერ იასპარეზეს ფინალურ მატჩებში.

⊙ **5 მსოფლიო** ჩემპიონატში მონაწილეობდა მექსიკის ნაკრების მეკარე ა. კარბახალი (1950, 1954, 1958, 1962, 1966 წწ.), ბრაზილიელებმა ჯ. სანტოსმა და პელემ, ურუგვაელმა როჩამ, დასავლეთგერმანელებმა შნელინგერმა და ზეელერმა, იტალიელებმა რივერამ და ძოფმა 4-4 ფინალურ ტურნირში იასპარეზეს.

⊙ **ერთ** ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ფრანგმა ჟიუსტ ფონტენმა (1958 წ., შვეცია) — 13.

⊙ **მსოფლიო** ჩემპიონატების ფინალური ეტაპების საუკეთესო ბომბარდირია დასავლეთგერმანელი გერდ მიულერი, რომელმაც 1970 და 1974 წლების ჩემპიონატებში 14 ბურთი გაიტანა.

II ლიგა

II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშებაში 16 მაისს რუსთავის „მეტალურგმა“ ანგარიშით 5:0 დაამარცხა მინგეჩაურის „ავტომობილისტი“.

გურამ შონია ამარცხებს ჩემპიონებს

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების „კლასიკოსთა“ ჩემპიონატში, როგორც წესი, ბევრი სახელოვანი სპორტსმენი გამოდის. ბარნაულში გამართულ პირველობაზეც უძლიერესი არმიელი ფალავნები იბრძოდნენ.

გაგვახარა 20 წლის თბილისელი სპორტსმენის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტის გურამ შონიას წარმატებამ ქვემძიმე წონით კატეგორიაში, სადაც ყველაზე ძლიერმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი. ახალგაზრდა ქართველმა ფალავანმა შესაშური ოსტატობით იასპარეზა და თავის წონაში უძლიერესის სახელი მოიპოვა. შონია პირველივე წრეში შეჯიბრების ფავორიტს, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონს, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელს ანატოლი კლიმენკოს შეხვდა და ქულებით დაამარცხა იგი. შემდეგ გურამმა მოუგო საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონს მიხეილ ქდანოვს, შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ვიტალი ჩერეპიცკის, ევროპის ჩემპიონს ნიკოლაი ინკოვს, გადამწყვეტ ბრძოლაში კი ფარ-ხმალი დააყრევინა ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ევგენი ბალიუკს.

ამ გამარჯვების შემდეგ გურამ შონია საბჭოთა კავშირის მოზრდილთა ნაკრების კანდიდატთა რიგებში ჩაირიცხა. ივნისში იგი პოდუბნის სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ფალავანმა ამას წინათ შეიარაღებული ძალების ახალგაზრდული პირველობაც მოიგო. გურამ შონიამ ვარჯიში 1980 წელს ცხაკაიას ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან კარლო ჯოჯუასთან დაიწყო. 1983 წლიდან დავით დავითაიას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. 1984 წელს იგი მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი იყო.

...ბარნაულში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს, მოზრდილთა და ახალგაზრდული პირველობის ჯამში კი პირველ ადგილზე გავიდნენ.

ისინი ალპინიზმის სათავეებთან იდგნენ...

ელენე ლორთქიფანიძე...
ახმათ ნიკოლაიშვილი...

მთამსვლელთა საზეიმო თავყრილობაზე ამ ქალარა მანდილოსნების გამოჩენისთანავე დარბაზს ნიავივით დაუვლიდა ხოლმე ჩურჩული: ელიკო ლორთქიფანიძე, ახმათ ნიკოლაიშვილი...

განუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთად იყვნენ მთაშიც და ბარშიც, ჭირშიც და ლხინშიც, მაშინაც, როცა 1923 წლის 28 აგვისტოს პროფესორ გიორგი ნიკოლაძის თვრამეტკაციანი ჯგუფი მყინვარწვერზე ავიდა. იმ ასვლით დაიწყო საბჭოთა ალპინიზმის ისტორია. ნიკოლაიშვილი და ლორთქიფანიძე ნიკოლაძის მეთაურობით 1925 წელსაც ერთად ავიდნენ იალბუზზე. ალპინიზმის ისტორიაში ისინი იყვნენ პირველი ქალები (მარიამ ტყავაძესთან, მარიამ ბეჟანიშვილთან და ლიდია ჩხეიძესთან ერთად), რომლებმაც იალბუზზე შედგეს ფეხი. იქიდან, ბაქსანის ხეობის გავლით, კვლავ ერთად გადმოვიდნენ სვანეთში, სადაც მხარეთმცოდნეობის შესახებ საინტერესო მასალებს მოუყარეს თავი, თან მომავალი ასვლებისთვის მწვერვალები დაზვერეს. ისინი ერთად მიემგზავრებოდნენ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო ექსპედიციებშიც. დევი და შოთა მიქელაძის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მყინვარებს. ეს განუყრელი მეგობრები თუ დროებით შორდებოდნენ ერთმანეთს, ფიქრით მაინც ერთად იყვნენ. როცა ახმათი ადიოდა თეთნულდზე, კოჩკინყოლზე, ლალვერზე თუ სხვა მწვერვალებზე, ელენეს მოუსვენრობა იპყრობდა და მეგობარზე ფიქრში ათენებდა და აღამებდა. სხვათა შორის, ელენე კარგი ტანმოვარჯიშეც გახლდათ, სპორტის ამ სახეობას სხვებსაც აყვარებდა. ერთხანს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოღვაწეობდა. ალპინიზმის დიდი პოპულარიზატორიც იყო. ახმათ ნიკოლაიშვილი აქაც მხარში ედგა მეგობარს. მარტო ის რად ღირს, რომ კაკო მარი სწორედ მან შეაგულიანა ალპინიზმს ზიარებოდა. კაკო მარი ბექნუ ხერგიანთან, გოჯი ზურებიანთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და მაქსიმე გვარლიანთან ერთად ჩვენი ქვეყნის პირველი ქართველი ჩემპიონი გახდა. მისი, როგორც მთამსვლელის ნათლობა მყინვარწვერზე მოხდა. ამ მწვერვალზე იგი ახმათ ნიკოლაიშვილთან, იაგორ კაზალიკაშვილთან და დავით წერეთელთან ერთად ავიდა. ავიდა მანამდე უცნობი, ყველაზე მოკლე, მაგრამ ყველაზე რთული გზით — გველეშაპის კლდის გავლით. ეს ახალი ახმათ ნიკოლაიშვილმა თავის მეგობარს შოთა მიქელაძის ხსოვნას მიუძღვნა — ასე იძია მან შური მყინვარწვერზე დაღუპული მეგობრისთვის. ეს ახმათ ნიკოლაიშვილის პორტრეტის კიდევ ერთი ნათელი შტრიხია.

ელენე ლორთქიფანიძე...
ახმათ ნიკოლაიშვილი...

მთამსვლელთა საზეიმო თავყრილობაზე ამ ქალარა მანდილოსნების გამოჩენისთანავე დარბაზს ნიავივით დაუვლიდა ხოლმე ჩურჩული: ელენე, ახმათი...

განუყრელი მეგობრები იყვნენ. ელენე ლორთქიფანიძე სულ ახლახან გარდაიცვალა, ახმათ ნიკოლაიშვილი კი ამ დღეებში მიაბარეს მიწას. ამბობენ, ახმათმა მწუხარებას ველარ გაუძლოო.

ახმათ ნიკოლაიშვილს და ელენე ლორთქიფანიძეს არასოდეს დავიწყებიათ თავიანთი გარდაცვლილი მეგობრები. არც მათ შეებ-ბათ დავიწყების მსახვრალი ხელი.

ინფორმაცია

კარლოვი ვარი. მშვიდობის ველორბოლის მეთორმეტე ეტაპი ჩეხოსლოვაკიელმა ანტონ ნოვოსადმა მოიგო. 130-კილომეტრიანი დისტანცია მან 3:12.53-ში დაფარა. პირად ჩათვლაში რბოლას ოლაფ ლუდვიგი (გდრ) ლიდერობს, გუნდურში — სსრ კავშირის ნაკრები.

არლი (საფრანგეთი). მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი მძლეოსნურ ათჭიდში ინგლისელი დეილი ტომპსონი ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ჩადგა მწყობრში. ამას წინათ მან არლის დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, თანაც შესანიშნავი შედეგი — 8667 ქულა აჩვენა. შვიდჭიდში ქალთა შორის უძლიერესი კიმ ჰეგერი (ინგლისი) იყო — 6259 ქულა.

მონტე-კარლო. მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თოთხმეტმა ქვეყ[…] ნამ. თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენმა მიჰაელ გროსმა (გფრ) მოულოდნელი დამარცხება იწვნია. ამ სახეობაში ფრანგმა სტეფან კ[…] რონმა გაიმარჯვა.

ლოს-ანჯელესი. მძლეოსნ[…] საერთაშორისო ტურნირში 400 მეტრზე რბენა სპილოს ძვლის ნა[…] პირის წარმომადგენელმა გაბრიელ ტიაკომ მოიგო. მისი შედეგი 44,3[…] მიმდინარე სეზონში მსოფლიოში საუკეთესოა.

გიწვევთ „სპარტაკი“

ტურისტული და სპორტული ინვენტარი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი გახდა. საბითუმო საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ მაღაზიებში ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი ყველაფერი, რაც ზაფხულის სპორტულ სეზონში ესაჭიროებათ აქტიური გართობა-დასვენების მოყვარულებს.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სპორტულ მაღაზია „სპარტაკში“, იქ, სადაც საგანგებო კუთხეა გამოყოფილი სეზონური ვაჭრობისათვის, ამას წინათ დახლებზე საზამთრო სპორტული საქონელი საზაფხულომ შეცვალა. ახლა აქ ფართოდაა წარმოდგენილი სპორტული და ტურისტული ინვენტარი, იყიდება კარვები და ზურგჩანთები, კატერები და ნავები, ტრენაჟორები და უნიკალური კომპლექტი „სტადიონი შინ“, სათევზაო ინვენტარი, ნაირგვარი სპორტული ფეხსაცმელი და კოსტიუმები.

ახალგაზრდებს ურიგოდ არ უთამაშიათ

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დარბაზმა უმასპინძლა საქართველოს კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატს „ა“ კლასის გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები, რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრები, აჭარის, ქუთაისისა და რუსთავის კოლექტივები. შეჯიბრებას თავი აარიდეს აფხაზეთის კალათბურთელებმა.

გუნდები ორ ქვეჯგუფში იბრძოდნენ. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს სპი-ს, აჭარისა და უნივერსიტეტის კოლექტივებმა, აგრეთვე ახალგაზრდულმა ნაკრებმა. ამ უკანასკნელის გამოსვლას სპეციალისტები განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს, რადგან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სწორედ ახალგაზრდული ნაკრები დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას.

ფინალში კარგად ითამაშეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა. მათ დაამარცხეს აჭარა (78:32), თსუ (84:56), ახალგაზრდული ნაკრები (94:66) და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. რაც შეეხება ახალგაზრდული ნაკრების გამოსვლას, მწვრთნელები კმაყოფილი უნდა იყვნენ გუნდის თამაშით. ახალგაზრდები მხოლოდ ერთ შეხვედრაში დამარცხდნენ, მოუგეს თსუ-სა (68:57) და აჭარის (72:42) გუნდებს და მეორე ადგილზე გავიდნენ. მესამე ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებმა.

„ლელოს“ კორ.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 2[…] მაისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიო[…] ნატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეც“ (ოდესა) — 21.00 (2); ჯანმრთელ[…] რომ იყო — 21.45 (2); მშვიდო[…] ბის ველორბოლა — 23.55 (1).

საკავშირო რადიო. 21 მაის[…] ტანვარჯიში — 6.15 და 7.15; ს[…] წარმოო ტანვარჯიში — 12.00.

საქართველოს ტელევიზია. 21 მაისი. სპორტული პროგრამ[…] 1. საერთაშორისო ტურნირი ფე[…] ლბურთში, 2. ტურნირი კალათბ[…] ურთში — 23.20.

საქართველოს რადიო. 21 მ[…] ისი. დილის ტანვარჯიში — 6.3[…] ვარჯიში მოსწავლეთათვის — 11.40; სპორტის მოყვარულთათ[…] ვის — 13.30.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე

---

25 მაისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე
იხსნება 1986 წლის ცხენთგამოცდის სეზონი.

გაიმართება დოღი და რბოლა. მონაწილეობენ საქართველოს, ყირგიზეთის, სომხეთის, უკრაინის და რუსეთის ფედერაციის ცხენსაშენები.

გათამაშდება სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი დიდი ტრადიციული ჯილდოები 1200, 1800, 2000 მეტრზე. გაიმართება საჩვენებელი გამოსვლები ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში.

გათამაშდება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის“ ურიგოდ შესაძენად. იმუშავებს ტოტალიზატორი.

იპოდრომის გახსნის საზეიმო ალლუმი დაიწყება 12 საათზე.

იპოდრომის დირექცია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ო[…] დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფ[…] ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 056[…]